



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი

ტრანსპორტის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
საინჟინრო

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
საინჟინრო მეცნიერებათა მაგისტრი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაში

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ჯუმბერ ჩოგოვაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: 899 26 92 56

ქუთაისი
2008

პროგრამის მიზანი და ამოცანები:

სპეციალისტების მომზადება გაღრმავებული, ფუნდამენტური და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისი მოღვაწეობისათვის ტრანსპორტის სფეროში, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საწარმოო-ტექნოლოგიური, საორგანიზაციო-მმართველობითი და პედაგოგიური მუშაობისათვის.

პროგრამის უპირველესი ამოცანაა მომზადდეს მაგისტრანტები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავების ტექნიკური ექსპლუატაციის მიმართულებით. ამ მიმართულებით მომზადებული სპეციალისტი უნდა ფლობდეს ინფორმაციების შეკრების, შენახვის და დამუშავების კომპიუტერულ მეთოდებს, იცნობდეს ყველა სახეობის ტრანსპორტისა და ძრავების ძირითად კონსტრუქციებს, მათი დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდებს და სერვისული მომსახურების სახეებს.

პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტების საბაზო მომზადებას, რომელთა საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს კონკრეტულ ბიზნეს გარემოში სერვისული მომსახურების ცენტრები, მონაწილეობს სატრანსპორტო საშუალებებისა და ძრავების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლის, დიაგნოსტიკის და სერვისული ცენტრების მოდერნიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესში.

მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამით მომზადებულ მაგისტრს შეეძლება:

- სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩატარება; სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების ექსპერიმენტალური კვლევების უნარი (მონაწილეობა); ექსპერიმენტის დაგეგმვის ანალიზური და რიცხვითი მეთოდების დამუშავება;
- სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზის და სისტემატიზაციის უნარი; ტრანსპორტის ექსპლუატაციის და სატრანსპორტო მოწყობილობის სფეროში თეორიული სამეცნიერო კვლევის უნარი; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის საექსპერტო კვლევის უნარი;
- სერვისული მომსახურების ჩატარების უნარი (მონაწილეობა), დაკვირვებისა და მონიტორინგის ჩატარება; სატრანსპორტო საშუალებებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კვლევა იმიტაციური და მათემატიკური მოდელებით; სატრანსპორტო ტექნიკის არსებული მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზი.
- სატრანსპორტო სფეროში გამოყენებული საშუალებებისა და მოწყობილობების სტანდარტული და სერტიფიკაციული გამოცდების ჩატარება, აგრეთვე მათი ექსპლუატაციაში დანერგვა; სატრანსპორტო სფეროში გამოყენებული ტექნიკური საშუალებებისა და სისტემების სტანდარტიზაციის სამუშაოების ჩატარება ISO 9000 და ISO 9001 სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად; სატრანსპორტო საშუალებებისა და მომსახურების ლოჯისტიკური მანქანების და მოწყობილობების მდგომარეობის ექსპერტიზის, კონტროლისა და აგრეთვე, ტექნიკური დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარება.

7	სერთიფიკაცია და ლიცენზირება სავტომობილო ტრანსპორტზე	36	24	12					5	5				3	
	ყველა მოდულისათვის სავალდებულო საგნები														
1	უცხო ენა	84		84		5	5			10	3	3			
2	სატრანსპორტო ტექნიკა და ტექნოლოგიური სისტემები	84	56	28		5	5			10	3	3			
3	პედაგოგია და ფსიქოლოგია	18	18			2, 5				2,5	1,5				
4	ავტომატიზირებული დაგ.სისტემები	18	12	6		2, 5				2,5	1,5				
5	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი	48	32	16			5			5		3			
6	საექსპლუატაციო მასალები	36	24	12		5				5	3				
7	მსოფლიო საინფორმაციო რესურსები	36			36	5				5	3				
8	მათ.მოდ.საინჟინრო საქმეში	48	32	16			5			5		3			
9	სატრანსპორტო საშუალებების ავტომატური მართვის სისტემები	48	32	16			5			5		3			
10	სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა					5	5	5	5	20					
11	სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა							5		5					
12	შამეცნიერო-კვლევითი (პროფესიული) პრაქტიკა								5	5					
	სპეციალობა 1	732	400	396	36	30	30	30	30	120	15	15	12	12	
	სპეციალობა 2	732	400	296	36	30	30	30	30	120	15	15	12	12	
	სპეციალობა 3	732	414	282	36	30	30	30	30	120	15	15	12	12	
	სპეციალობა 4	732	400	396	36	30	30	30	30	120	15	15	12	12	

სასწავლო პრაქტიკა:

პრაქტიკის დასახელება	სემესტრი	კვირათა რაოდენობა	კრედიტი	შენიშვნა
სამეცნიერო პედაგოგიური პრაქტიკა	II	15	5	
სამეცნიერო კვლევითი პრაქტიკა	III	15	5	

სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

